

# დროშა

შანი მანხაღმლისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქარიზის, რუსულს და სხვა ენებზედ.  
თუ საქმიანობა მიიხიბვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავად წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.

**რედაქცია**  
გოლოვინის პრესბუტზე თავ. მუხრან-ბაქონის სახლში ვლუბის ქვემოლ.  
ხელის-მარჯვნივ, მიიღება თბილისში «დროშის» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисъ, въ редакцію «Дроша»  
«დროშის» ფასი.  
თბილისის წიგნისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.  
ქვეყნის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.

ბამოლის ქოველ დღე მრშაბათს ბარდა.

წაღკე ხომეჩი «დროშისა» ღირს 5 კაპეიკა

ხვალ ღვთის-მშობლის ბამო «დროშა» არ ბამოვა.

## სტალიკრავენი

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი»)

6 სექტემბერს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** 10 სექტემბერს იარმარგაზედ უველა დუქნები დაკუთილი იქმნება, ხოლო 10 ოკტომბრისთვის ნავთსადგურები დაიკვლება გემებისაგან.

**კოპენჰაგენი.** 5 (17) სექტემბერს. გუშინ აქ მოვიდა გლადსტონი შოეტი ტენისონითურთ და დღეს გლადსტონმა ცოლით, შვილით და ორი ქალით ისადილა მეფესთან ჭრედელსბორგში.

**პეტერბურგი.** ინგლისის გაზეთები იუწყებან, რომ რუსეთმა ზღვით გაგზავნა ჯარები ვლადივოსტოკში და ჩვენს მმართველობას ჩინეთმა მოსთხოვა მიზეზი ჩვენის ჯარების ჩინეთის სამზღვარზე დაყენებისა. ამის შესახებ Journal de St-Petersbourg ამბობს, რომ ვლადივოსტოკში ჯარები გაიგზავნა მხოლოდ გარნიზონის გამოსაცვლელად, ჩინეთის სამზღვარზე არავითარი ჯარის დაყენება არ მომხდარა და ჩინეთსაც ამის თაობაზე არავითარი მოუთხოვნია რუსეთისთვის.

**ბაბა.** გუშინ პალატათა სესია დაიქ. სამეფო კორტეის პალატაში მიმავლობის დროს სოციალისტებმა მოახდინეს დემონსტრაცია საზოგადო ხმის მიცემით საქმეების გარდაწყვეტის სასარგებლოდ. ენერგიული ზომები მიიღეს.

**გონ-კონლი.** ტონგინში ომი შეჩერეს მომხვედრე ჯარების მისვლამდინ და ჭრანკუზებმა გაიჭრანსკენ დაიწვიეს.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრი დაბრუნდა და დაიწყო თავის თანამდებობათა აღსრულება.

**ხარკოვი.** გათავებული უსვენსკის იარმარგა კარგი ვერ იყო.

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფე იმპერატორმა, დედოფალმა და საბერძნეთის სამეფო გვარეულობამ გლადსტონის იანტაზე ისაუბრეს. საუბრის დროს გლადსტონმა წარმოასტკვა სადდეგრძელო უავგუსტოესთა სტუქმართა. საუბრის შემდეგ იმპერატორის და დანიის სამეფო გვარეულობანი დაბრუნდნენ ჭრედელსბორგში. დღეს გლადსტონი უკანვე ღონდონში მიდის.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავარი სარდალი, გენერალი დუე გუშინ გონ კონდში მივიდა განსაკუთრებითი მინდობილობით.

**ბირჟა**

პეტერბურგი, 1883 წლის სექტემბერი

100 მანათის კურსი სამის თვით ღონდონზე	23 <sup>13</sup> / <sub>16</sub> , 23 <sup>27</sup> / <sub>32</sub>
100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე	203 <sup>7</sup> / <sub>8</sub> , 203 <sup>1</sup> / <sub>4</sub>
100 მან. კურსი სამის თვით პარიზე	251 <sup>3</sup> / <sub>4</sub> , 251 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
პოლიმპერიადევი	8 მ. 29 კ. გაუ.
ცამოუნის კუბონები	8 მ. 28 კ. გაუ.
ვერცხლის მანათი	1 მ. 41 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი	6 და 7 <sup>0</sup> / <sub>10</sub>
5% ბილეტები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. I გამოცემისა	92 მ. გაუ.
5% ბილეტები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. II გამოცემისა	92 მ. 12 კ. გაუ.
5% ბილეტები აღმ. სესხისა 100 და 1000 მ. III გამოცემისა	92 მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები I შინაგანის სესხისა	215 <sup>3</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.
5% მომგები ბილეტები II შინაგანის სესხისა	207 მ. გაუ.
რუსული ხომბალი, 10 ფუთი	11 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
ხომბალი საქსონკა უმალდისის სორცისა, 10 ფუთი	12 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
ჭვავის პური, 9 ფუთი	9 მან. გაუ.
შერა, 6 ფუთი	4 მ. 80 კ. გაუ.
ქერი, 8 ფუთი	8 მან. 40 კ. გაუ.
ფქვილი ჭვავის პურისა, მოსკოვისა, 9 ფუთი	—
ვეროსნი ამერიკისა	2 მ. 70 კ. გაუ.
ვეროსნი რუსული	1 მ. 30 კ. გაუ.
ქონი ყვითელი, სანთლისა, 1-ლი სორტი	70 მ. გაუ.
ქონი სანისა	არ არის.
ერბო პროვისია, ციმბორისა სპილენძი ფურცლობით, ფუთი	10 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
ოგრა	—
რკინა ფურცლობით, ფუთი	3 მ. 70 კ. გაუ.
პროვისია დამარბილებული, ფუთი	14 მან. გაუ.

**პროვისია ტყავები ამერიკისა,**

ფუთი	5 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მან. გაუ.
სპირტი ოსტეისა 40%	—
ვედრო	93 კ. გაუ.
შაქარი რაფინადი 1-ლის	—
სორცისა, ფუთი	8 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
შაქარი რაფინადი, მე 2	—
სორცისა, ფუთი	არ არის.
ფხვნილი შაქარი	6 მან. 90 კ. გაუ.
პოტაში, 10 ფუთი	27 მან. გაუ.

**თბილისი, 7 სექტემბერს.**  
ბ. ალექსი ძეგლიაშვილს დავპირდით ვრცელს შენიშენას იმ წერილის თაობაზედ, რომელიც გუშინ და გუშინ-წინ დაიბეჭდა. ჰერ გენდოდა სტრიქონსა და სტრიქონს შუა ვავვეკეთა მცირე შენიშენები, მაგრამ მერე საბოლოოდ გადავდეთ. ბავტყდებით, რომ შევცდით. პირველი შრომა უფრო ადვილიც იქნებოდა და არც ასე უსიამოვნო. მხოლოდ გულ-ხელ დაკრეფილი დავტყერით მის ვრცელს წერილს, ყურადღებით წაკითხულს და წითელ კარანდაშით აჭრელეხულს, დავტყერით და თან გავგონდებამ, რომ, ჩვენ და სამწუხაროდ, ამ წერილის განმარტებას, თუ კრიტიკას დავპირდით. არ არის კარგი სიტყვის შეუსრულებლობა, მაგრამ ხშირად სიტყვის შესრულებაც მეტად მიმიე რამ ყოფილა.  
შეამქლანებთ ჩვენს მიუხედედრობობას და ვაღვიარებთ ბ. ძეგლიაშვილის წინაშე, რომ მისი წერილი ჩვენის გონებისათვის ფრიალ ღრმა საგანი გამოდგა. ბუნდად მიხედვით, რეთვე იმ პირთა, რომელნიც ამ სკოლისათვის ზრუნავენ. იმედი ვიქონიოთ, რომ ღმირი სემონის-ძე მიიღებს ამ სკოლას თავის მფარველობის ქვეშ.  
მს ჩვენი პირველი ნაბიჯი იყოს ნიშნად სკოლის ბედნიერის მომავლისა!  
ბ. წინამძღვრიშვილმა სიტყვა რომ გაათავა, **დ. ს. სტაროსელსკი** სიტყვა, რომ, რაც კი შემეძლება კვლავაც არაფერს დავზოგავ ამ სკოლის კეთილ-დღეობისათვისაო.  
ამის შემდეგ მუხების ქვეშ გაიშალა ყველა იქ დამსწრეთათვის სადილი, სადილი ქართველური, მხიარული. შევლანი მხიარულობდნენ და მღეროდნენ, ყველას სიხარულის ღიმილი ეთამაშებოდა სახეზედ. ბევრი მტყვერ-მეტყველური სიტყვა წარმოითქვა და ყველანი მადლობას უხდოდნენ სკოლის დამფუძნებელს და ნატრულობდნენ, რომ ეს ერთადერთი სამეურნეო სკოლა იყოს საქართველოში სამეურნეო ცოდნის გამავრცელებელი და ის საქმე არ დაემართოს, რა საქმეც დაემართა ლოკინის სკოლას. სიტყვები ბევრი ითქვა, მაგრამ არც ერთი ამ სიტყვათაგანი არ

## «დროშის» ჭელტონი, 8 სექტემბე.

### სამეურნეო სკოლის გახსნა ს. წინამძღვარიანთ-კარში.

ამ თვის 4-ს აკურთხეს ღუშეთი მაზრაში სოფ. წინამძღვარიანთ-კარს სასოფლო მეურნეობის სკოლა, რომელზედაც დაესწრნენ ღერალ-ლეიტენანტი **დ. ს. სტაროსელსკი**, თ. ი. ბ. შავჭავაძე და კიდევ ბევრი სხვანი, განგებ თბილისიდან წასულნი ქართველები, რუსებ და სომხები. ბევრი იყვნენ აგრეთვე ახლო-მახლო სოფლების თავად-აზნაურობა და გლეხკაცობა. პარაკლისის გადხდის შემდეგ მღ. ასათიანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოსთქვა ის აზრი, რომ დაივიწყათ შური, მტრობა, რომლისაგანაც დაიღუპა ჩვენი ქვეყანა, და ყველანი ერთგულად და წმინდად ვემსახუროთ ამ სკოლის წმინდა საქმესაო. მოვდლის შემდეგ ამ სკოლის დამფუძნებელმა **ი. ი. წინამძღვრიშვილმა** წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

მეურნეო სკოლას ვესანი. მართლა რომ ეს საქმე სამძიმო საქმეა; მაგრამ ეს საქმე მე ვამაბედინა ერთის მხრივ იმან, რომ ყოველის მამულის შვილის ვალია შეძლებისამებრ შევიწიოს ღარიბსა და უმცარს ხალხსა და მეორეს მხრივ—აუცილებელმა საქმიანობამ აქაურ ხალხში სასარგებლო და პრაქტიკულ ცოდნის გავრცელებისამ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გზაზედ ბევრი გაჭირვება მოგველის, მაგრამ ამ გაჭირვების დაძლევა შეუძლიან საქმისადმი სიყვარულს, გულის დადებას და ენერგიას, როგორც სახალხო სკოლის ისტორია ამტკიცებს. ამ ბრძოლისათვის ერთის ან რამდენიმე პირის ძალა საქმარისი არ არის,—საჭიროა ხელის-შეწყობა და თანაგრძობა თითონ საზოგადოებისა. მაშ ყველანი, ვინც კი ერთგულად ევიდება სახალხო განათლების საქმეს, ამოუდგეთ გვერდით მეცნიერების დროშას, გავულოთ სასწავლებლის კარი ყოველს ერსა და სარწმუნოებას, წავიდეთ წინ და მოვიფინოთ ბნელს ხალხში ნათელი ჭეშმარიტებისა.

პირველ მოძღვრებს, უნდა გითხრათ, რომ თქვენ, როგორც მეცნიერების წარმომადგენელთ, შეგხვდათ სასიამოვნო, მაგრამ ძნელი, დანიშნულება. თქვენ პირველთ უნდა გააბნოთ საგურამოს ხეობაში თესლი განათლებისა უნდა ებრძოლოთ ხალხის ცრუ-მორწმუნეობას, უნდა აღუძრათ თანაგრძობა სახალხო განათლებისადმი და ცხადად აჩვენოთ ის სარგებლობა, რაც გამოცდილებას და მეცნიერებას ადამიანისათვის მოუტანია. თქვენ-ვე დამოკიდებული სკოლის მოწვეთა ბედი და თვითონ სკოლის მომავალი. ჩვენი სკოლა სამაგალითო იქნება მთელის ძველსათვის და თქვენ თქვენი სული უნდა ჩაუდგათ მას. მივანებოთ თავი თავ-მოყვარეობას და ჩუმად, აუჩქარებლად, ყველანი ვემსახუროთ სულიერს და ნივთიერს ყოველთვის ჩვენის ზრუნვის საგანი იქნება. მაშინ სკოლის მტერი მეგობრებათ გარდაიქცევიან და ჭეშმარიტებაც აღდგება.

«დასარულ, მოვალეთა ვრაც ჩემს თავს გამოვუცხადო ღრმა მადლობა **დ. ს.**—მს სტაროსელსკის ამ სკოლისადმი თანაგრძობისათვის და აგ-

«მოწყალენო ხელმწიფენო! ბევრს თქვენგანს გააკვირვებს ჩემი გაბედულობა, რომ დღეს მე სა-

«მოგმართათ თქვენ, ჩემს ამხანაგებს, და ახლად გახსნილს სკოლის

რომ ბ. ძვალთმეილი ჰკიცხავს ბანკს და მის გამგებლობის მოქმედებას, რომ იგი ესარჩლება ბ. ღვეთ შრისთვის და ბ. შიფინს (ბ. ღ. შიფინის გამოსარჩლება კიდევ არაფერი, მაგრამ ბ. ღვეთ შრისთვის რ. ღ. გამოსარჩლება ეჭირებოდა, რომ ოფიციალურად გაზეთი ხელში უჭირავს და მალე ცენზორის ალაგსაც მოეღოს); მაგრამ იმას კი ვერ მივხვდით, რა სწავლიან ბ. ძვალთმეილს, რა ნახა ბანკის მოქმედებაში იმისთანა რამ გასაკიცხი, რომელმაც ამოდენა წერილი დააწერინა, და ისიც მოხსნი, სადაც, ბ. ძვალთმეილის სიტყვით, კალმის აღება საგმირო საქმედ უნდა ჩაითვალოს. ბ. ძვალთმეილი ხან თითქო იმაზედა ჯავრობს, რატომ სოფლის მამულებს ბანკი უბირატესობას არ აძლევს ქალაქისაზე და მეტს სესხს არ აძლევს მათზედა, ხან იმასა სწუხს, რომ სახსარი აღარა გვაქვს და გირავებული მამულები გამოვიხსნათ და ჰბოტეკა რაში გვეჭირებოდა. მუ იმაზედა სწუხს, რომ სოფლის მამულებზე მეტს რატომ არ აძლევდნენ, ისიც არ უნდა დაევიწყა, რომ რაც მეტი გაცივმა რომელსამე მამულზედა, იმდენი უფრო გაუძნელდება მამულის მებატონეს სარგებლობის შეტანა და მასუკან ისევე თითონვე დაიწყებს ჩივილს, ასე უღმერთოდ მამულის გაყიდვა როგორ შეიძლებაო. იმასაც თითონ ამბობს, ამასაც და ამ ლაპარაკში ავიწყდება უმთავრესი აზრი, — ის რომ ბანკის მოქმედების ნაკლოვანება უნდა ეჩვენებინა და ანდაზების ძებნას კი საქმისათვის თავი დაუწებებინებია.

ბ. ძვალთმეილი საყვედურს აძლევს ბანკს — მამულის მებატონეებმა და გირავებული მამულები რად მიატოვესო. მნებავთ იმისთანა სახსარი გაჩი-

ყო გლენებისადმი მიმართული, რომ ახსნა მათთვის ამ სკოლის მნიშვნელობა. ბოლოს სადილიდამ წამოდგა ბ. ი. ჰვეტაძე, ჩადა გლენების შუაში და უთხრა შემეგი:

«მითი ორიოდ სიტყვა მეც მიხდა გითხრათ და ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები. «მგერთმა რომ ქვეყანა გაჩინა, დედა-მიწას გული გადაუხსნა, შიგ აუარებელი, უღვეელი სიმდიდრე ჩაუღდა და აღამიანს უანდერძა: იშრომე, გაიწარჯეო და ეგ სიმდიდრე დედა-მიწის გულიდამ ამოიღე და შენს სადღეგრძელოდ მოიხმარეო.»

«მქვენი და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ შრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბლერტაო. ამას ამიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო საესეა. არც თვითონ ჩვენა ვართ უხვირონი, ღმერთი-რჯული. მკლავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და ძალ-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკლია. ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი, პატარძალსავეთ მართული ქვეყანა, ეს ჯანიანი, მკლავ-ძლიერი ხალხი, გამრჯელი და

ვენოთ, რომელიც ამისთანა მოვლენისაგან იხსნის ბანკს: დეე ბანკმა ყოველ ას-თუმნიან მამულში ერთი მანათი მისცეს და ვინ სულელი იქნება მამული ბანკს მიატოვოს! მაგრამ ამითი განა ბანკი თავის დანიშნულებას მიაღწევს — ბანკმა უნდა მასესებლოს ხელი გაუმართოს და მამული სამართლიანად დაუფასოს და როგორ იქნება, რომ ამ დაფასებაში შეცდომა არა მოხდეს-რა და 600-700 მამულში წელიწადში სამი მინც გაუყიდველი არ დარჩეს. საცა დიდი ალებ-მიცემობაა, იქ მოგება და ზარალი ძმები არიან და ხშირად უზარალოდ ნოკება შეუძლებელია. რასაკვირველია, ბანკმა ამითი არას დროს არ უნდა იხელმძღვანელოს. და სესხის გაცემაში დიდს სიფთხილით უნდა მოიქცეს, მაგრამ სიფთხილითა და ძნელია, ხანდისხან კაცი არ წაბოროთიკდეს და თავის მოწინააღმდეგეს საყვედურის მიზეზი არ მისცეს.

უმთავრესი ნაკლოვანება ბანკისა კი არა, ჩვენის საზოგადოებისა ის არის, რომ მომჭირნობას მოკლებული ვართ და ხშირად ვიღრე უკანასკნელი ვაჭრობის სათი არ დაჰკრავს, ყურსაც არ შევიბერტყავთ ხოლმე და რაკი ამ დროს ფულს ვეღარსადა ვმოულობთ, მამული გვეყიდება; უმთავრესი ნაკლოვანება ის არის, რომ მამულის შემოსავლიდამ კი არა ეცდილობთ ვალის გადახდას, ვალითა ეცდილობთ და ვალმა რომ ვალი ერთხელ და ორჯერ გარდაიხადოს, მესამედ და მეოთხედ ვერ გარდაიხდის და ბოლოს ისევე უბედურება დაგვატყდება თავსა, რასაც ვერიდებოდით. ში ამის წამალი რომ ებოვნა ბ. ძვალთმეილს, ეს იქნებოდა უბერი წამალი და ბ. ძვალთმეილიც დიდს თანაგ-

აფლის მღერელი — მამ რალადა ვართ ლარიზნო? — მკითხავთ თქვენ.

«იმიტომ-რომ არ ვიცით სად რა სიმდიდრე ჰქვს, სად რა განძია. არ ვიცით საიდამ რა ამოვიღოთ, რა ხერხით და ოსტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ადვილი იყოს და ნაჯაფევიც ბლომად. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მართო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ, ისა, რაც, თქვენისავე სიტყვით, თვითონ ღონესაცა ჰსჯობია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად ამოქმედებს, რაც კაცის თვალს დედა-მიწის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღეთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო.»

«მაგისთანა ღეთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვია. შამისოდ დედა-მიწა თავის უხვს და უხარბელს გულს არ გადავიხსნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამოდენადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა ქვეყანაში, საცა ცოდნა აქვს ხალხსა, ოთხის დღის მიწა ისე უჭირველად აცხორებს მთელს ოჯახს, როგორც

რძნობას დაიმსახურებდა საზოგადოებისაგან, მაგრამ იმაზედ ლაპარაკი, რომ სოფლის მამულებზედ ნაკლებს აძლევთ, ქალაქებისაზედ მეტსაო, ჰიპოტეკა რას გვიშველისო და სხვა საქმეს ვერას უშველის და იქნება იმითიც აიხსნებოდეს, რომ სასიამოვნოა ხანდისხან მარტობის გასართობადო ვისთანვე ლაპარაკი და მეტადრე მთელს საზოგადოებასთან.

**შინაური შრომისა**

სკანეთში, როგორც მკითხველმაც იცის, ჯერ-ჯერობით არც ერთი სასწავლებელი არ არსებობს და ეს უდაბური მხარე ქვეყნის გონების მოძრაობას გამოკლებულია. მხოლოდ შევიტყვით, რომ მღვდელს მურციკიძეს გაუხსნია ს. მესტიაში კერძო სასწავლებელი და წერა-კითხვის საზოგადოებისათვის შემწეობა უთხოვია სასწავლო ნივთებით, რომელიც საზოგადოებას დაუყოვნებლივ მიუცია მ. მურციკიძისათვის.

ამავე საზოგადოებას გაუწეია აგრეთვე შემწეობა ქართულისა წიგნებით შინაეთის სკოლისათვის.

ბ. ღ. ი. ძეს ჩუბინოვს შეუდგენია და დაუაქციენებია პეტერბურგში ქართული ლამატიკა, რომლისასი ეგზემპლიარი შემდგენელს შინაეთის სათავად-აზნაურო სკოლისათვის შეუწირავს და ასი მუთანის სკოლისათვის.

ნ. ს. სექტემბერს თ. ღონდუკოვ-ძარსაკოვი წაიდა ქაქავს და იქილამ სხვა ქალაქებში დიდს მთავრის ნიკ. ნიკ. ძის მისაგებებლად.

«ქაქავში» გვაცნობებს, რომ ამ ზამთარს ცალკე კომისია განიხილავს

ჩვენში ოცისა და ორმოცის დღის პატრონი ვერა ჰსცხოვრებს. რადა? ბანა იმითი, რომ ისანი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვეჯობიან? არა. იმათ ცოდნა აქეთ, ხერხი იციან. «ხერხი ჰსჯობია ღონესაო» თქვენგანვეა თქმულა და მართალიც არის.

«ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თვითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წაეა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წაართმევს, ვერცა ვინ წინ გადუღდება. მხოლოდ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ზარბა აქვს, ხმალზედაც უფრო მეტად ჰსჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

«ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჰქუა ცოდნით მოურთავს, ცოდნით აუყვავებია, ცოდნის ძუძუთი გაუზღია. «ძაცი უნდა ხერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო», თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავლული. მართალიც არის: კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავის-თავისაც. ძაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჰქუა ცოდნით გაუღვსია, ცოდ-

კანონის პროექტს შესახებ მოსარწყავ წყლის მფლობელობას და ხმარებისას ქაქავიაში. ამ კომისიის თავმჯდომარედ იქნება სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წარმომადგენელი ბ. ტხევეი.

შოტს-კაცები ბევრგან ძალიან მოწოდობილი არიან მებატონეებთან კავშირის მოსაზრება და მამულის შესყიდვისა, მაგრამ ხშირად საქმის გაჯანჯვლისა ეშინიანთ და თუნდ ფულიც ხელში ჰქონდეთ, მინც ვერ ბედვენ საქმე სასამართლოებში სათრეველად გახადონ. ამის გამო ერთი-ორად გასაკიცხნი არიან ის ვაჭბატონები, რომელნიც გლენების უბრალოებით სარგებლობენ, ჰპირდებიან სხვა-და-სხვა მუამდგომლობას, ფულსა სტყუებენ და ამით კიდევ უფრო მეტად უკარგვენ გლენებს ნდობას აღამიანისადმი: ერთი ამ ვაჭბატონთაგანი ბძანებულა ვილაც აზნაურა შ. ღ. ძე, ზოვის ნამოურავალი, რომელსაც ს. მუსურის გლენებისათვის შორანის მაზრაში 150 მან. დაუტყუენია და დაჰპირებია თქვენს მებატონესთან საქმეს ისე მოგიხერხებთ, რომ განგათავისუფლებთო; მაგრამ დღემდის თურმე ეს ფულიც გარბის და არც განთავისუფლება სჩანს სადმე. ამ ვაჭბატონს ჩვენ არც კი მოვიხსენებდით, რომ, ჩვენსა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს ხანს სოფლებში არ გამრავლებულიყო ამ გვარის ტიპის ხალხი, რომელნიც ყოველ ძალა-შემოსილ პირის წინაშე ორად იკაკვებიან და გლენებს ატყუებენ, რაც გინდათ ყოველისფერის შესრულება ჩემს ხელშია, ვისაც რას ვეტყვი, როგორ დამზარდება შესრულებასაო, — და რაც უნდა საქმე განდღეს სოფელში, გზის გაყვანა იქნება, თუ ეკლესიის აშენება, თუ არხის

ნის ჩარხზედ გაუჩარხავს. მაშინ კაცს ხერხსავეთ სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს.

«მე თქვენ თვითონაც კარგად იცით. მქვენ თვითონ ყოველ დღე ჰხედავთ, რომ ეგ ვერა. ალოში გუთნის-დედას მეტს არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მხერვსა. რადა? იმიტომ-რომ გუთნის-დედა მცოდნეა და მხერვი კი არა. შრის მკეთებელი უფრო მეტად ჰღირს მოჯამაგირედ რომ დგება, ვიდრე უბრალო მუშაკაცი, თუნდაც ერთი-ორად იმაზედ მეტი იყოს მკლავითაც და ჯანითაც. რადა? მძლევი იმიტომ-რომ ურმის ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო მუშა კი არა.

«ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ, თავისთავადაც სიმდიდრემეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაუჩრიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლებდარა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმითი არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოვლე. პირ-იქით, იმატებს კიდევ, რადგანაც

გაკეთება, ყოველივე საქმის აღმა-  
დაღმა დტრიალებას კისრულობენ,  
რასაკვირველია, შემდეგ ჯეროვანის  
ჯილდოს მიღებისა.

თელავიდან გვერენ: თითქმის  
ერთი დეკა, რაც თელავის ზოგიერთ  
ქუჩებში ქვას ისრვიან. აღამდებთ  
თუ არა, არის ერთი რახუნის, სახლე-  
ბისა და ფანჯრების მტყრევა-მსხვრე-  
ვა. ხალხი ძალიან შეშინებულია, მი-  
ზვსწყველა სხვა-და-სხვას ლაპარაკობს;  
ზოგს ისიც სჯერა ეითომ ადამიანთა-  
განი არ იყვნენ ქვის მსროლელები.  
შეშინებულმა მცხოვრებლებმა, თუმცა  
არა ერთხელ მიჰმართეს აქაურ პო-  
ლიციის პრისტავს, რომ დაეთარა ამ  
საშიშროებისაგან, მაგრამ ჯერ-ჯერო-  
ბით ვერა გააწყვეს რა. ქვის სროლა  
თან-და-თან მატულობს.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორა!

თქვენის გაზეთის მე 170 ე №-ში  
წერილი იყო, ვითომ მე ძალად დამეწე-  
რას ჯვარი თუთბერძნისთვის ჩემს ქალ-  
ზედ. ეს ამბავი რომ მართალი იყოს,  
ისე საზიზღარი და გასაგინება, რომ  
მე ვეღარ გაგებდავდი არამც თუ საქვე-  
ნოდ თავის გამართლებას, საზოგადოე-  
ბაში თავის გამოყოფასაც, მაგრამ რად-  
გან ეს ამბავი თავით ბოლომდე სინ-  
რუება, ამიტომ ვეღარ და მოგმართავთ  
თქვენ, რომ დამეხმაროთ თქვენის გა-  
ზეთით ჭეშმარიტების აღსადგენად.

ეს ერთი წელიწადი მეტია, რაც თუთ-  
ბერძნისა და მე ჩემს ქალზედ ღაპანაგვი  
გვჭინდა ნემსამეს შუამავლობით; მე ხელ-  
ში მაქვს რადენიმე ალერსიანი წერილი  
თითონ თუთბერძნისა, რომელთაც იგი  
მწერდა მე, როგორც სასიძო და სხვა-

და-სხვა ვადას მინიშნავდა ჯვარის წე-  
სისათვის; მე ხელში მაქვს იმისაგან  
ერთს მის ამხანაგთან მიწერილი წერი-  
ლი ჯვარის წერის წინადა, რომელითაც  
ის იწვევს მას მეჯვარედ; მე ხელში მაქვს  
მის კვიტანცია რვა თუმნისა, რომელიც  
მან ანგარშივე მიიღო მზითვის ბუდე; მე  
ხელში მაქვს აგრეთვე მისგან მიწერილი  
კვიტანცია ქალის ჩემის მზითვის -- სს-  
ლომცის თუმნის მიღებისა. ამის შემდეგ  
საზოგადოებას ვთხოვ თითონ განსჯას,  
რა უნდა დაერქვას იმ კაცის მოქმედებას,  
რომელიც ასე უსიამოვნოდ სსქვენიდ  
ციფას მწამებს. მე შესაფერი სასული-  
ვერ მიპოვნია და არც მინდა ვიპოვნო,  
რადგან ესაა ის, ჩემდა სამწუხაროდ,  
ჩემი სიძეა.

აქვე უნდა დაუმატო, რომ მღვდელმა  
ბუბუკმა ვი არ დასწერა ჯვარი ჩემს  
ქალს, ჯვარი დასწერა იტრისის მღვდელ-  
მა ალექსანდრე გოგინუკმა.

მღვდელი ზაქარია კიკნაძე.

მღვდლის კიკნაძისაგან დასასულეული  
წერილები ჩვენ თითონა გნახეთ და არ  
შეგვიძლიან ჩვენს ჩვენი განცდილობა არ  
გამოგანცხადოთ ბ. თუთბერძნის უსიამო-  
ვნოდ ქვეყნად. თუთბერძნე ჯერ დღე-  
დღეზედ გადასდებს ჯვარის წერას, რად-  
გან მზითვის ფული ვერ მოგროვებო-  
ნათ, შემდეგ მიიღებს ას-ლომცე თუმნის,  
აღტრებით ახარებს თავის მეგობრებს  
ამ ამბავს, ღაპანაგობს იმსზედ -- ვიცემუნ-  
დირში უფრო შეჭურვის ჯვარის წერა,  
თუ ძირაში და ჯვარის წერის შემდეგ  
ვი მოხბის თბილისში, თავს აგატუ-  
ნებს და რედაქციასაც თავს ახრავს,  
ძალად ეკლესიაში შემოვიანეს და ჯვარი  
გადასწერეს. მართლა რომ შესაბრ-  
ლისა მღვდ. კიკნაძე, რომ ამისთანა სიძე  
უმოკნია.

რედ.

ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი  
იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა.

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდ-  
ნა, რომ თუნდაც ცოტად ბეუტაე-  
დეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს,  
მპარავს, მტერს აფთხოვს, იქ სინათ-  
ლეა, ჰსჩანს ჰლიძაფთო და დაგვიან-  
ებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ  
იმით, რომ იქ ლეიძილია, მღვიძარე-  
ნი დამხედებიან და მიმასპინძლე-  
ბენო.

სანთელს მარტო იმაში არა ჰგავს,  
რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწე-  
ვის და გაქრება ხოლმე; ერთხელ ან-  
თებულნი ცოდნა კი თავის დღეში  
არა: მამილამ შეილზედ გადადის,  
შეილილამ შეილი-შეილზედ უფრო  
გადიდებული, უფრო გაძლიერებუ-  
ლი.

სოდნა იმითა კიდევ კარგი, რომ  
იმან უფროს-უმცროსობა არ იცის.  
როგორც საყდარი, როგორც ეკლე-  
სია, როგორც თვითონ ღმერთი  
ერთნაირად შეიფედრებს, ერთნაი-  
რად შეიკედლებს, ერთნაირად იშვი-  
ლებს ხოლმე ძონძებში გახვეულ  
გლენსაც და ბუზმენტებით მორთულს  
თავადსაც. შეელას ერთნაირად მოუხ-  
დება, ყველას ერთნაირად დააშე-

ნებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულ-  
მონდომილი და მოწადინებული მ-  
ვიდეს ცოდნის კარამდისა.

ახლა სად არის ეგ კარი? რო-  
გორ შევიძინოთ ის სანატრელი გან-  
ძი, რომელსაც ცოდნა ჰქვია და  
რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას  
ეგრე უჭირს? ზამოვიდა ჩვენში ერ-  
თი გულ-მტკივნეული კაცი და გვით-  
ხრა: გზას მე გაჩვენებთო, თქვენ  
ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის  
კაცი მარტო თავისის თაონობით,  
დაუღალავის მცდელობით, თავ-გამო-  
დებით, მხნეობით შეუდგა ამ ძნელს  
საქმეს და თავის სასახლოდ და ჩვენ-  
და საბედნიეროდ აქ, ამ სოფელში,  
აკვანი დაღვა ცოდნის გასაზრდელად  
და ძუძუსათვის ძიძები მოიწვია. ის  
კაცი ილია წინამძღვრი შეილია, ის  
აკვანი აი ის პატარა შენობაა, რო-  
მელიც ასე ლამაზად უხდება ამ პა-  
ტარა სოფელს, ძიძები კიდევ მისგან  
მოწვეულნი ოსტატები არიან.

აი სად და ვისის ხელით აინთება  
აქ ის სასიხარულო სანთელი, რომ-  
ლის სინათლეს მტერს დააფთხოვს  
და მოყვარეს გაახარებს და რომელ-  
საც ცოდნა ჰქვია. აი ამ პატარა  
სახლილამ გამოვა ის ღიძი ღონე,

სასამართლოს ძროხა.

(მიწიერის საქმე)

(შედეგი \*)

ამის შემდეგ მიწიერი გამობრუნ-  
და, მივიდა მაშარსკისთან და ცოტა  
ლაპარაკის შემდეგ გამოუცხადა, რომ  
თანახმა არის იტალიის ბალის მაგიერ  
სხვაგან სადმე მიიღოს მისგან ბოდი-  
ში. მაშარსკის გაეხარა და მკითხაო:  
—სად მოეხადო ბოდიშიო? ჩვენ  
დავდეთ პირობა, რომ ნახევარ საათით  
ჩემს სახლში მოსულიყო და იქ მოე-  
ხადა ბოდიში.

წინაშეულს დროზედ ბ. მაშარს-  
კი ორის ამხანაგით დანიშნულს ად-  
გილს მოსულიყვნენ და იქ მარტო  
მიწიერი და იმის ერთი ამხანაგი  
დახვედროდათ. შეანასკნელი ჩქარა  
წასულაყო და ოთახში ოთხნი დარ-  
ჩენილიყვნენ.

მისთვის უმაღ, მაშარსკიმ ხელი  
გამომიშვირა, ამბობს მიწიერი,  
მაგრამ მე ვუთხარ: უკაცრავად მა-  
გას-კი აღარა ვიქ... იმ დროს თავში  
მომდიოდა, რომ მაშარსკი გამეწყებ-  
ლა. ამის შემდეგ აღარა მახსოვს-რა...  
არ ვიცი, რა რიგად მოვკალ მა-  
შარსკი.

ბ. ღონეს და ძალიას ჩვენება,  
თითქმის ეთანხმება კაბ. მიწიერის  
ჩვენებას, მხოლოდ უთანხმობა ღონე-  
სა და ძალიას შუა ის არის, რომ  
ღონე ამბობს მაშარსკი იმიტომ არ  
დასთანხმდა იტალიის ბალში ბოდი-  
შის მოხდას, რომ ესენი არ წაჰყვნენ  
და ძალია-კი ამტკიცებს, რომ მა-  
შარსკი თითონვე სთელიდა სამარცხე-  
ნოდ ამ გვარს ბოდიშის მოხდას.

მაგის გარეთ, ორნივე ამტკიცებენ,  
რომ მიწიერის სახლში მისთვის  
დროს მაშარსკის ხელი არ გაუწვდია  
მისთვის.

\*) იხ. «დროება» № 174.

ის ღიძი ხერხი, ის ყოველთვის და  
ყოველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი  
ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვი-  
ან. მაგას გამოიტანენ თქვენი შვი-  
ლები და მოჰფენენ ქვეყანასა ჩვენდა  
სადღეგრძელოდ, ჩვენდა საბედნიერ-  
ოდა.

სოდნა ბევრ ნაირია. ხოლო აქე-  
დამ ჩვენი შვილები თქვენი, შვილები  
გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რო-  
მელიც დედა-მისის გულში ჩაგვანე-  
დებს, მიგვაგნებინებს სად რა სიმ-  
დიდრე უძვეს და რა რიგის ხერხით,  
რა რიგის ოსტატობით შეიძლება იმ  
სიმდიდრეს ხელი დავაწვდინოთ, ამო-  
ვიღოთ და მოვიხმაროთ ქვეყანისა და  
ჩვენის თავის სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ სკო-  
ლას, ამ ცოდნის აკვანსა! გაუმარ-  
ჯოს ილია წინამძღვრი შეილს, ამ  
აკვნის დამდგმელსა! გაუმარჯოს ამ  
სკოლის ოსტატებსაც, რომელნიც ამ  
აკვანს გაარწვევენ დასაძინებლად კი  
არა, გასაზრდელად, გასაღვიძებლად  
მაუმარჯოს ა იმ პატარა კაცსაც,  
თავად ბებუთაშვილს, რომელმაც და-  
უზოგველოდ, უსასყიდლოდ, მარტო  
ერთის საქმის სიყვარულისაგამო, თა-  
ვისი დრო და ცოდნა ამ სკოლის

მიწიერის ექილის კითხვებზედ  
ძალიან უარი ჩაბრუნებულა. მა-  
შარსკის ცნობაზედ. დასახლების ცოდ-  
ნაზედ?—მოწამემ უპასუხა: «კაპიტანი  
ისეთს მღელვარებაში იყო, რომ შე-  
იძლებოდა უარესი მომხდარიყო».

ამ მოწმის კითხვის დროს, ბ. მიწ-  
იერი მეტად მღელვარებდა და ხმამ  
რამდენჯერმე უღალატა.

მოწამე ძოღის ჩვენებაც უმ-  
თავრეს აზრში სხვების ჩვენებას ეთან-  
ხმება და განსხვავება მხოლოდ იმა-  
შია, რომ ამტკიცებს: მე თანახმა ვი-  
ყავ მაშარსკის მაგიერ ბრალდებულ-  
თან საბრძოლველოდ გავსულიყო  
და განსვენებულმა ნება არ მომ-  
ცაო.

ამ მოწმის ჩვენების შემდეგ სხდო-  
მა შესწყდა მეორე დღის წეს საათამ-  
დის.

მეორე დღეს წეს საათზედ დაიწყო  
გარჩევა და ნაკითხი იყვნენ დანარჩე-  
ნი მოწმები.

პრაპორშჩიკი ძალიან ჩვენება ამ-  
ტკიცებს სხვების ჩვენებას და შესა-  
ნიშნია მხოლოდ იმით, რომ პრო-  
კურორის კითხვებზედ: «ბრალდებულმა  
სიტყვა «სულიელი» რად უთხრა მა-  
შარსკის?»—მოწამემ უპასუხა: «იმი-  
ტომ, რომ ლაპარაკი შეწყვეტილი-  
ყო». (ხალხში სიცილი.)

პროკურორი. მაშ თქვენა გგონიათ,  
რომ საკუარისია კაცს «სულიელი» უთ-  
ხრათ, რომ ლაპარაკი გათავდეს? (ხალხ-  
ში სიცილია. შიშველი ოჭიცერი  
წითლდება.)

მოწამე მიხილოვმა უპასუხა, რომ  
საქმისა არა იცის-რა, მხოლოდ ის  
იცის, რომ მიწიერი მივიდა იმასთან  
და რევოლვერი სთხოვა, რომელიც  
მაშინვე მისცა.

პროკურო. ბრალდებულს მღელვა-  
რება ხომ არ ეტყობოდა?  
მის. არა.

აშენებას მოახმარა ღმერთმა თქვენც  
გამარჯვება მოგცეთ ყველგან და ყო-  
ველთვის! ღმერთმა შეგასწოროთ იმ  
დროს, რომ აქედამ, ამ სკოლილამ  
გამოსულს შეილს შეგხაროდეთ და  
იმის ცოდნით ფეხზედ წამოყენებულ-  
მა ოჯახმა, გამოკვთებულმა მამულმა  
თქვენის თვალთვე დაგანახოთ, რომ  
მართლა «ხერხი ჰსჯობნებია ღონე-  
სა». მაშინ იქნება ჩვენმა თვალმავე  
ისიც გვიმოწმოს, რაც გულში მამა-  
პაპათავან მარტო ანდერძად ჩაგვრჩე-  
ნია: «ის ურჩენია გამულსაო, რომ  
შვილი ჰსჯობდეს მამასაო».

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმ-  
ღერას გაათავებთ, იტყვიან: თქვენი  
გამარჯვებისა იყოსო. მეც გავათავე,  
რაც სათქმელი მქონდა და თქვენე-  
ბურად, ჩვენებურად გეუბნებით: თქვე-  
ნი გამარჯვებისა იყოს!»

მღენებს ეტყობოდათ, რომ ჰაეჭა-  
ვადის ყოველივე სიტყვა კარგად ეს-  
მოდათ, რადგანაც იგინი წამ-და-  
უწუმ წამოიძახებდნენ ხოლმე «ღიძი»  
«ოღონდაც» «მართალი გახლავით»  
და სხვ.

თავმჯდომარე დიდხანს დარჩა თქვენთან? მის. სამიოდ წუთი. ბრალდებული. შემთხვევის რვა დღის წინად, ჩემგან ბარათი ხომ არ მოგსვლიათ, რომელიმე ცი რევოლვერს გთხოვდით? მის. არა, არ მომსვლია.

ბრალდებული. იქნება რვა დღე არ იყო და ხუთი-ექვსი იყო? მის. არა, არც მაგ ხანში მომსვლია. ბრალდებული. (აღშფოთებით). მარი დღის წინად?

მის. ჰო... რარი დღის წინად მივიღე. ბრალდებული. შარიც ხომ მითხარით? მის. დიალ, უარი გითხარით.

მართა მოწამე კაპიტანმა უჩენა, რომ საქმის შინაარსი არ იცის და არც დასწრებია. კაპიტანი მიშენკო ამხანაგებს უყვარს, ხასიათი აჩქარებული აქვს და თავმოყვარე არის.

ბრალდებული. ამხანაგობამ «იტალიის» ბაღში მომხდარი შემთხვევა მაშინვე შეიტყო? მის. დიალ, მაგრამ რა მოხდა, დაწერილობით არაფერ იცოდა.

ბრალდებული. თქვენ ამბობთ, ამხანაგობას უყვარდა და პატივსაც სცემდა, მაშ როდესაც «სკანდალის» ხმა გაერცვლდა, რატომ არაფერ იკითხა კაპიტანი მიშენკოს ამბავი?

მის. მიშენკო ამ უკანასკნელს ხანში «კამანდიროვიტა» სიმბირში იყო გაგზავნილი, იქა მსახურებდა რამდენიმე წელიწადი, მაგის იქ ყოფნის დროს ბრალდებულის ამხანაგები სხვა-და-სხვა სამსახურში და პოლიციაში გადავიდნენ. ბრალდებულის ნაცნობები აქ ექვსი-შვიდი კაცის მეტი არ იქნება.

ამ მოწმის შემდეგ წაიკითხეს ბ. პირველის პირველი ჩვენება, რადგანაც თითონ სასამართლოში არ გამოცხადებულა. ბ. პირველი არის ამხანაგი მიშენკოსი და საქმე პირველად იმასა და ძალიას შუა დაიწყო.

მა ჩვენება თუმცა არაფრით არ განესხვავება გამამტყუნებელს აქტს და დანარჩენ მოწმეების ჩვენებას, მაგრამ სავსეა სხვა-და-სხვა გვარის ცბიერებებით, როგორც მაგალითად, ის აღვილი, სადაც ბ. ძალიას და ლოზეს შეეხება, ამბობს: «უტყინო ფრანკუზის სიტყვები ვერ გამეგო; მიშენკოს გმირული საქციელი, რომელსაც სულით და გულით თანაფერძნობ; ლაჩარი, დამცირებული «შტაფირკა» და სხვა ითხება.

ამით გათავდა მოწმეების კითხვა. (შემდეგი იქნება).

P. S. ბრალდებულს გადაუწყვიტეს: ახალონ ხარისხი, ახსნან ჩინები და ორდენები და 2-ს წლით გაიგზავნოს სიმბირში ირკუცკის მაზრაში, შემდეგ 8-ს წელიწადს დანარჩენს მაზრებში დანაშაულობის შესამსუბუქებელი მიზეზების გამო მსაჯულთ დაადგინეს

იმუდგომლონ ხელმწიფის წინაშე, რომ ამ გადაწყვეტილების მაკიერ აკმარსოან მხოლოდ ქრთის წლით ციხეში ჩასმა. წინათვე მოაზრებულს ბრალდებულებაში სასამართლოს წინაშე გამართლებულად ჩაირიცხოს.

რუსეთი

ამ ჟამად რუსული მწერლობა და საზოგადოება გულწრფელად გლოვობს თავის გამაჩნისლის მწერლის ტურგენიევის სიკვდილსა. გზუთები ავსებულნი არიან ტურგენიევის ბიოგრაფიული ცნობებით, რუსეთის სხვა-და-სხვა კუთხეებიდამ ტელეგრაფებით, რომლებშიაც ისტება მთელი საზოგადოების გულითადი მწუხარება, სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი დაწესებულებანი, საზოგადოებანი აპირებენ უკანასკნელი პატრიარქმა გადახედონ გამაჩნისლის მწერლს, ან იმის დასაფლავებაზე თანდასწრებით, ან იმის სახელობაზე სტაჟენდიების და სკოლების დაარსებით. ტურგენიევის სიკვდილმა მწუხარებით აღაჯგო ევროპული მწერლობაც, რომელშიაც განსაკუთრებული კარგად ცნობილი იყო და ითვლებოდა მთელს ევროპაში საუკეთესო მწერლად.

რუსთა ქვეყნებში გამაჩნისლი მწერლის, ან და საზოგადო მოღვაწის სიკვდილს საზოგადოებასთან ერთად იგლოვებს მძაბრებლობაც, რომელიც პატრიარქს სტუმს განსაკუთრებულს ან დასაფლავებაზე თანდასწრებით, ან და მატრიარქის საშუალებების აღმოჩენით; ეს განრმეება ფრად სასამოეონა და აისხნება ორთავს თანხმობით.

ტურგენიევის სიკვდილის გამო მგლოვანების ნიშნად პეტერბურგელმა ფოტოგრაფმა შაპირამ თავის სახელოსნოს ფანჯარაში ტურგენიევის სურათი შავთ შემოსილი გამაჟგინის; შაპირამ შასუსი გასცა საზოგადოების მწუხარებას.

როგორც გზუთები გვატყობს, შოლიცას განკარგულება მოუხდენია შესახებ იმისა, რომ შაპირამ ტურგენიევის სურათი შავად მოსილი აიღოს ფანჯრადამ.

უცხოეთი

ჩინეთის ელჩს ცენგს საფრანგეთის გარემე საქმეთა მინისტრ შალემელ-ლაკურთან მოლაპარაკება ჰქონია და, გზუთების სიტყვით, მორიგების მთავარი პირობები დაუდგენიათ. ამ პირობების ძალით საფრანგეთი ვალდებული ხდება თავის მთავრობა ჩინეთის კიდეს, ტონკინის დელტს და წითელი მდინარის გზს არ გადააცილოს. ჩინეთიც თავის მხრივ თანხმდება გზა მისცეს ევროპეულს ვაჭრობას და ნავონობას წითელს მდინარეზე. მარკი ზენგს ამ პირობების პროექტი უკვე უცნობებია ტელეგრაფით თავის მთავრობისთვის.

განსხვავებული

ნორაშინის ქუჩაზედ, შუღინოვის სახლებში № 27, ქირავდება ოთახი წყლითა, გათბობით და მოსამსახურით. (3-1)

წიგნები

ისყიდება წიგნის მალაზიაში—ტფილისში: ბრიტუროვთან ქუჩის ხიდის-ქუჩაზე, პლექსანდროვის ბაღის პირდაპირ, შიკინადესთან ლორის-მელიქოვის ქუჩაში, მესხიევის სახლში, ფოშტის ახლოს.—ქუთაისში: შილაძის წიგნის მალაზიაში.

- 1) ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები. ნაწილი პირველი. შასი ექვსი შაური.
2) მეფე ლიონი, ტრაგედია შექსპირისა. თარგმნილი ი. მარბლისა და ილ. ჭავჭავაძისაგან. შასი სამი აბაზი.

ინგლისის მალაზიაში

თიხს-სამოაზანი შაპ-მასტერი. ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გზგზანით 2 მანეთი და 28 კაპ. (100-37)

საკლავოს კალმები

რომლებთანც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთადერთი სააგენტო—ინგლისის მალაზია. იქვეა აწარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ფოკელის „ხელისათვის“—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განკურტები, რეულები, ღაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუძაყნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საშუადად (ბორაჟია), თეთრულისათვის, შატრას ხაღვი, ატრასათვის კლიონკები, ტანტები, სავარძლები, სარკები, სავარცხლები, ბუნკენი, ზარები, ბინოკლები რულებები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, საყუდრი, პრობკები, საშრობკები, კრანები, ფილტრები, შროტები, თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტანი მაკინტოშები, კრავები, სავკიმო ქაღალდი ვატერ-კლავიეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაშკი—20 კ. (100-78)

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდახელ 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე 1883 წ.

- გამომცხვარი ზური რუსეთის ფუქილისა — 1 გირ. 5 კ.
აჭურის ფუქილისა: პირველის ხარისხისა — 1 გ. 2 1/2
მეორისა — 1 გ. 2 კ.
ამავე ფუქილ. თორნუში გამომცხვარი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 5 კ.
მეორისა — 1 გ. 3 კ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2
ჟვარის-მამის ზური:
პირველის ხარისხისა 1 გ. 5 კ.
მეორის ხარისხისა 1 გ. 3 კ.
მესამისა — 1 გ. 2 1/2
ძროხის ხარცვი:
პირველის ხარისხისა — 1 გ. 8 კ.
მეორისა — 1 გ. 7 კ.
სუკი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხარცვი — 1 გ. 8 კ.

ანტონოვის თხულებანი

- 3) ანტონოვის თხულებანი (კო. მედიები). შასი ერთი მანეთი.
4) ქართული ხელახლები შექმნილი პეტ. შმიკაშვილისაგან. შასი ორი შაური.
5) გაცხა-ადამიანი, მოთხრობა ილ. ჭავჭავაძისა. შასი ორი აბაზი.
6) ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. შასი ერთი აბაზი.
7) გრიგოლ ორბელიანის ლექსები. შასი ექვსი შაური.
8) დედანი საწერი, შედგენილი პეტ. შმიკაშვილისაგან. შასი სამი კაპიკი.
9) დავითიანი, ლექსები დავით ბურამიშვილისა. შასი ერთი მანეთი. (5-1)

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით. თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა. ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა. ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზედ და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა. ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.